ლელო

№ 21
(10981)

15-17 მაისი, 1996 წ.
ფასი 25 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

XXVII ტური

„კახეთი" — „დინამო" 1-5
„მეტალურგი" — „ტორპედო" 4-3
„მარგვეთი" — „ბათუმი" 2-0
„შევარდენი" — „კოლხეთი" 1-3
„დილა" — „ოდიში" 1-0
„ივერია" — „სამტრედია" 2-5
„გურია" — „სიონი" 0-1

„დურუჯი" — „ეგრისის" შეხვედრა სენაკელთა გამოუცხადებლობის გამო არ შედგა. „ეგრისს" ჩაეთვალა წაგება 0-3 და მის საქმეს განიხილავს სადისციპლინო კომისია.

ტურის გამოტოვებულ მატჩში „ტორპედომ" 4:2 დაამარცხა „ოდიში".

„ლელოს" წინა ნომერში დაშვებული იქნა უზუსტობა. სანაკში გამართული მატჩი დამთავრდა „ტორპედოს" გამარჯვებით 6:2.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო"	26	21	4	1	85:14	67
„მეტალურგი"	27	20	0	7	63:32	60
„კოლხეთი"	27	19	2	6	61-38	59
„მარგვეთი"	27	19	2	6	75-31	59
„სამტრედია"	27	17	8	2	81-34	59
„ბათუმი"	27	14	6	7	56-27	48
„ტორპედო"	27	14	6	7	62-42	48
„დილა"	27	11	4	12	48-50	37
„შევარდენი"	27	9	2	16	38-51	29
„ივერია"	26	9	2	15	31-49	29
„სიონი"	27	9	0	18	31-54	27
„გურია"	27	9	0	18	34-62	27
„კახეთი"	27	8	3	16	28-57	27
„ოდიში"	27	8	2	17	38-59	26
„ეგრისი"	26	5	2	19	40-75	17
„დურუჯი"	26	0	1	25	16-112	1

იხ. მე-3 გვერდი

გიორგი ქინქლაძე — 400 მილიონი პესეტი

ესპანეთის ცნობილმა საფეხბურთო კლუბმა „ბარსელონამ" ქართველი ფეხბურთელის გიორგი ქინქლაძის საფასურად ინგლისის „მანჩესტერ სელის" შეაძლია 400 მილიონი პესეტი (3,2 მილიონი დოლარი).

მაგრამ ეს თანხა, როგორც იტყობინებიან, გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე გ. ქინქლაძე ფასობს ინგლისში.

1 ივნისს, ელისტაში

მიღწეულია საბოლოო შეთანხმება მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვსა (რუსეთი) და პრეტენდენტ გატა კამსკის (აშშ) შორის მათი შეხვედრის ელისტაში (ყალმუხეთის რესპუბლიკა) ჩატარების შესახებ. მისი მთავარი სპონსორია კონცერნი „როსიისკაია ნეფტ" და ყალმუხეთის რამდენიმე ბანკი.

კამსკი ერთხანს მატჩის რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში გატანას მოითხოვდა, მაგრამ ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი, მას გამოუცხადებლობის შემთხვევაში დისკვალიფიკაციით დაემუქრა.

მეტოქეები 20 პარტიას გაითამაშებენ. დებულების თანახმად კარპოვს თავისი წოდების შესანარჩუნებლად მატჩის ყაიმით დამთავრებაც (10:10) ეყოფის, პრეტენდენტი კი მხოლოდ გამარჯვებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს.

მატჩის საპრიზო ფონდი 2 მილიონი ამერიკული დოლარია.

გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, ნიკოლოზ თაყაიშვილი — ქართული სპორტის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლების, ტანვარჯიშში სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატების, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონების ნათელ ხსოვნას ეძღვნება საღამო, რომელიც 16 მაისს გაიმართება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საკონფერენციო დარბაზში.

დასაწყისი 13 საათზე.

ო.გაბელია

თ.კოსტავა

ა.ჩივაძე

ნ.ხიზანიშვილი

შ.ხინჩაგაშვილი

გ.დარასელია

თ.სულაქველიძე

დ.ყიფიანი

ვ.გუცაევი

რ.შენგელია

გ.თავაძე

ზ.სვანაძე

ნ.კაკილაშვილი

ვ.ჟვანია

გ.ჭილაია

ნ.ახალკაცი

1981 წლის 13 მაისი...

ქართული სპორტის ყველაზე ბედნიერი და გამორჩეული დღე, რომელმაც ერთ სიხარულში მოუყარა თავი რამდენიმე თაობის აუხდენელ და სანუკვარ ოცნებას, ამ დღეს თბილისის „დინამომ" წარმატებით დალაშქრა ევროპის საფეხბურთო ოლიმპის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი და ენით აუწერელი სიხარული მოუტანა თავის მილიონობით გულშემატკივარს.

გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც! დიუსელდორფის წარმატება ლოგიკური დასასრული იყო იმ რთული და საპატიო გზისა, ექვსი ათეული წლის წინ რომ დაიწყო დინამოელთა პირველმა თაობამ.

თხუთმეტი წლისწინანდელ სიხარულს არა ერთმა და ორმა მონაწილემ მიუძღვნა ამაღელვებელი სტრიქონები. დღეს ჩვენ გთავაზობთ ჟურნალისტ ზურაბ რცხილაძის მოგონებას, რომელიც ამ მოვლენის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეთაგანი იყო

იხ. მე-2 გვერდი

საფრანგეთის ქალაქ გოდან, სადაც ჩატარდა ვეტერან (35 წლის ზევით) სამბისტთა ევროპის პირველი ჩემპიონატი გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ ჩვენი უბერებელი ფალავნები. ასპარეზობაზე კონტინენტის 10 ქვეყნის მოჭიდავეები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, მათ შორის ესპანეთის, იტალიის, ბულგარეთის, რუსეთის (2) ესტონეთისა და სხვა გუნდები. ქართველმა ვეტერანებმა ოთხი ოქროს მედალი დაისაკუთრეს. ესენია: მევლუდ ჩხაიძე (57 კგ), შარშანდელი მსოფლიო მეორე პრიზიორი პოლიციის პოლკოვნიკი ზაურ სახვაძე (74), რომელმაც ფინალში 2-გზის მსოფლიო ჩემპიონ მასპინძელ დემონსტთან რევანში აიღო შარშანდელი დამარცხებისათვის და წმინდად სძლია მას. ანზორ ზურაბაულმა (90) გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა, ევროპის 2-გზის ჩემპიონი ფრანგი რონტე. მძიმე წონის პოლიციის ვიცეპოლკოვნიკმა ჯემალ ფიცხელაურმაც ტოლი არ დაუდო მეტოქეებს და პირველობა დაისაკუთრა.

ოთხივე ფალავანი ქ. გოს მერმა დააჯილდოვა სპეციალური პრიზებით — „საუკეთესო გდებისათვის".

იქვე, პარალელურად ჩატარებულ ახალგაზრდულ ტურნირში იყოჩაღა აგრეთვე ჩვენმა ჭაბუკებმა. კერძოდ: კასპელმა ლევან უხურგულაშვილმა (51 კგ), დუშელმა იაგო მიშელაშვილმა (60), ფოთელმა მურთაზ თურქიამ (62) და პირველი ადგილები დაისაკუთრეს, მესტიელი კახა ფარჯიანი (52) და თბილისელი გიორგი ჩხაიძე (68), შესაბამისად, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.

სურათებზე: ვეტერანები — მარცხნიდან: ჯემალ ფიცხელაური, ზაურ სახვაძე, ანზორ ზურაბაული. ჭაბუკები: ლევან უხურგუნაშვილი, იაგო მიშელაშვილი, გიორგი ჩხაიძე, კახა ფარჯიანი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ჩვენ და მეტოქეები

ევროთასებზე საქართველოდან წლეულს ოთხი გუნდი გამოვა. ამათგან ორის ვინაობა თითქმის გარკვეულია. უეფას თასზე თბილისის „დინამო" ისპარეზებს თასების თასზე „ბათუმი". უეფას მეორე და ინტერტოტოს საგზურებზე ოთხი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. „მეტალურგი", „კოლხეთი", „მარგვეთი" და „სამტრედია".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მართალია, ჯერ ჩვენი გუნდის მეტოქეებიც უცნობია, მაგრამ №№ ჯგუფში თამაშების განრიგი ასეთი იქნება. ჯერ შინ მივიღებთ იუგოსლაველებს, მეორე ტურში ფინეთში გვექნება გასვლითი შეხვედრა. შემდეგ ფრანგებს ვუმასპინძლებთ და ბოლოს რუმინეთში სტუმრად ვითამაშებთ.

... ტაისონს მჯავრება მთელი ქვეყანა


მაიკ ტაისონი

სამწლიანი პატიმრობის შემდეგ მაიკ ტაისონი, კრივის მოყვარულთა წინაშე ახალი იდეებით შეიარაღებული წარსდგა. ჟურნალისტმა ნაიჯელ კოლინზმა ამ ინტერვიუთი მსოფლიო ჩემპიონის საკმაოდ საინტერესო და, რაც მთავარია, ახლებური სახე წარმოაჩინა.

● *თქვენი სპორტული კარიერა მოჰამედ ალის მსგავსად შეწყდა, როცა პოპულარობის ზენიტში იყავით. ხომ არ ხედავთ ამაში რაიმე პარალელს?*

— ალი მსოფლიოში ერთადერთი იყო, ამიტომ პარალელებზე ლაპარაკი უადგილოა. იმას, რაც ალის მოუვიდა, სხვა მიზეზი აქვს. მე კი სხვა. ჩემი დანაშაული ისაა, რომ საკუთარ ბედსა და უსაფრთხოებაზე მაინცდამაინც არასოდეს ვზრუნავდი.

● *რინგზე დაბრუნების შემდეგ ალიმ ბრძოლის მანერა შეცვალა. თქვენც ხომ არ მოგივიდათ მსგავსი რამ?*

— არა მგონია. ყველაფერს ვაგრძელებ ისე, როგორც ვიცოდი. რას მივაღწევ ამით არ ვიცი, მაგრამ მინდა დამიჯეროთ, რომ ახალს არაფერს ვიგონებ. სხვათა შორის, სიახლის თავი არცა მაქვს.

● *თქვენ აბსოლუტური ჩემპიონი გახდით დროზე. კრივს მაშინ სჭირდებოდა ასეთი კაცი. ახლა ჩემპიონი ბევრია. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?*

— კრივი საკმაოდ დიდი და სარფიანი ბიზნესია. სწორედ ამიტომაა ქვეყნად ბევრი ჩემპიონი. გაიხსენეთ თუნდაც დღევანდელი მდგომარეობა მძიმე წონაში. ადრე კრივში შვიდი წონა იყო და ამდენივე ჩემპიონი. ახლა, თუ არ ვცდები, თექვსმეტი წონაა. რას შეიძლება ფიქრობდეს კაცი ამაზე? ჩემი აზრით, ჩემპიონები იმიტომ მომრავლდნენ, რომ მათზე დიდი მოთხოვნაა.

● *რა უნდა შეიცვალოს, რომ კრივი განვითარდეს?*

— პირველ ყოვლისა, მოკრივეებს უნდა ჰქონდეთ პენსია — გარანტირებული მომავალი. სამწუხაროდ, კრივს ბევრი ვიგინდარა აფარებს თავს და გულდასაწყვეტი ის არის, რომ ეს ვიგინდარები დიდ ფულს აკეთებენ. ნამდვილი მოკრივეები უნდა შევკავშირდეთ. ჩვენ დიდად განსწავლული ხალხი არა ვართ, მაგრამ ერთმანეთის მხარდაჭერით შევძლებთ ლუისის, ნელსონის, დემპსისა და სხვათა ტრადიციების გაგრძელებას.

● *გარანტირებულ მომავალში რას გულისხმობთ?*

— დღეს რომ ბევრ ფულს ვაკეთებთ, დაგვიქვითონ, ოღონდ ნაწილი სოციალური დაცვის ფონდს გადაეცეს.

● *ერთ ასეთ ექსპერიმენტს გთავაზობთ: მე კრივთან დაკავშირებული ხალხის გვარებს დავასახელებ, თქვენ კი დაახასიათეთ ისინი.*

— სიამოვნებით, ვინმეს თუ აინტერესებს ჩემი დახასიათება.

იხ. მე-4 გვერდი

დიუსელდორფში გვემღერებოდა...

ცამეტი უიღბლო რიცხვია-მეთქი, 1981 წლის მერე აღარ მითქვამს. იმ დღეს, დიუსელდორფში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში დაამარცხეს გერმანელი მეტოქე, იენის „კარლ-ცეისი". გერმანელს იმიტომ ვამბობ გამახვილებით, რომ აღვნიშნო სიძნელე მდგომარეობისა. ქართველები თამაშობდნენ სტუმრად, გერმანელები — შინ. ზოგი იტყვის — იენა აღმოსავლეთი გერმანია იყო, დიუსელდორფი — დასავლეთი. მაინტერესებს, თბილისის „დინამოს" გერმანელებთან თელავში რომ ეთამაშა, მაყურებელი მხარს ვის დაუჭერდა?

მსაჯის საფინალო სასტვენის მერე მოედანზე ჩვენი გუნდის მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი გამოვარდა და ბურთი მოიტაცა. რელიქვია დღესაც გამოფენილია „დინამოს" კლუბში, მობრძანდით, ნახეთ...

საქართველოდან სამოცნი ვახლდით ჩვენს გუნდს, მაგრამ სინანულით აღვნიშნავ, რომ მათ შორის გაზეთის ორად-ორი კორესპონდენტი ვიყავით — ჯიმშერ ენუქიძე და მე. უფრო მეტად კი გულდასაწყვეტია, რომ საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელებს „დაავიწყდათ" ზემოხსენებულ „სამოცში" ერთი პროფესიონალი ფოტოკორესპონდენტი ობლად მაინც ჩაესვათ, რათა შთამომავლობას სრულყოფილი ფოტომატიანე დარჩენოდა. ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს და ეს „თეთრი ლაქაც", სამწუხაროდ, ვეღარასოდეს გაფერადდება. სამომავლოდ ვამბობ, გასათვალისწინებლად!

თამაშის მერე, კარგად მახსოვს, დინამოელებზე ნაკლებად არ ვიყავით დაღლილები, ღელვით, ღრიალით, ტაშისცემით, ხელისქნევითა და გულის ხეთქვით. პირველი ბურთი აკი გერმანელებმა გაიტანეს.

...„დინამოს" თეთრ-ცისფერი დროშა მეჭირა, ვაფრიალებდი. მოვიდა ერთი იქაური, მომყიდეო, არიან სუვენირების ასეთი ფანატიკოსები. უარის გაგონებაზე უფრო მეტი ფული შემაძლია. სულაც გაჩუქებ, ოღონდ მოგვიჯექი და, ცოტანი ვართ, ჩვენთან ერთად იყვირე-მეთქი. გაეხარდა. ორი ტაიმი ისე იღრიალა, მე მგონი ყელ-ყურის ექიმი დასჭირდებოდა. ასე „ვაგულშემატკივრე" ერთი გერმანელი კაცი... გერმანელების წინააღმდეგ.

თამაშამდე მთელი საქართველო შემოგვენატროდა: ბედნიერები, დიუსელდორფის „რაინშტადიონის" ტრიბუნებზე ისხდებიან, ფინალს ტელეჩაურევლად ნახავენ. თამაშის მერე, ახლა ჩვენ ვინატრეთ, თბილისში დაგვსვა და ჩვენი თვალით გვანახა ის უწესიერესი „გადარევა", რაც ჩვენს ქუჩებში ხდება. ისე ყველამ იცოცხლოს, ჩვენ აქ მერე ზღაპრული ამბები გვიამბეს. „უწესიერესი გადარევა" კი იმის გამო ვთქვი, რომ, ამბობენ, იმ ღამით საქართველოში არც ერთი სამართალდარღვევა არ მომხდარა.

აქ რომ ზეიმი იყო, მოულოდნელად იქ, დიუსელდორფში კიდევ ერთი შფოთიანი წუთები განვიცადეთ. წუთები არა, მთელი საათნახევარი. საბჭოთა კავშირს, მოგეხსენებათ, სპორტულ სამყაროში სახელი ჰქონდა გატეხილი დოპინგის „სიყვარულის" გამო. წესია, მატჩის ოქმს არბიტრი ხელს არ მოაწერს, სანამ დოპინგ-კონტროლის შედეგს მაგიდაზე არ დაუდებენ. ვართ მოლოდინში, ვღელავთ, დრო გადის. ექიმებს ვიტალი დარასელია ჰყავთ ჩაკეტილი, სინჯავენ. ცხვირს ვერავინ შეჰყოფს. ხანი გადის. რასაც განვიცდით, სიტყვით ვერ გადმოვცემ. ჩვენს ნერვიულობას აშკარა საფუძველი აქვს: საქმე ის გახლავთ, რომ საერთაშორისო საფეხბურთო წესებით კონფლიქტის შემთხვევაში პროტესტის უფლება გუნდის ხელმძღვანელობას არა აქვს, პროტესტს ქვეყნის ფედერაციის წარმომადგენელმა უნდა მოაწეროს ხელი. იმ შემთხვევაში ქვეყანას საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, ხოლო მოსკოვმა რატომღაც თავისი წარმომადგენელი აღნიშნულ მატჩზე არ გააგზავნა. ეტყობა, თბილისის „დინამო" იმთავითვე ან „თავისიანად" არ მიაჩნდა, ან გარდაუვალ მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ.

იმხანად უცხოეთში საბჭოთა ტურისტებს ებრაელებთან ურთიერთობას კი არა, ლაპარაკსაც გვიკრძალავდნენ. ეს წესი ჩვენ, რა თქმა უნდა, დავარღვიეთ. მთელი ევროპიდან ოჯახებიანად ჩამოვიდნენ მატჩზე ქართველი ებრაელები და ჩვენთან ერთად გულშემატკივრობდნენ. მერე კარგადაც მოვილხინეთ. თან გიტარაც მქონდა. ქართულ სიმღერებზე კი არ ტიროდნენ — ქვითინებდნენ, ვერ გავაჩერე. იმდენი ფული მომცეს, არ ვიცოდი სად წამეღო. ჩემს დღეში სიმღერაში სუფრასთან ფული არავის უკადრებია ჩემთვის, მაგრამ იქ, ვიცი, ეწყინებოდათ და ავიღე. ამის გარდა, საბჭოთა მათხოვარი ტურისტი, მოგეხსენებათ, იქ რა დღეში იყო ხოლმე. ჰოდა მე, მათხოვარს, ვერავინ დამძრახავს-მეთქი...

იმ ლამაზი დღის მერე, რა დამავიწყებს, თხუთმეტი წელი გასულა. კიდევ ბევრი, ძალიან ბევრია გასახსენებელი, მაგრამ ზოგიც სხვა დროს იყოს, ამ ბრწყინვალე გამარჯვების ოცი, ოცდაათი თუ ასი წლისთავზე, თქვენთან ერთად, „ლელოს" ძვირფასო მკითხველებო!

ზურაბ რცხილაძე

როგორ დავიცვათ თავი სპორტში ანუ დაიცავით, რისი დაცვაც შეგიძლიათ

დაძაბული სპორტული ბრძოლა არ გამორიცხავს არაფერს ადამიანურს. განსაკუთრებით მწვავე მომენტებში კი ნებისმიერი ქმედებაა მოსალოდნელი — ვთქვათ ღონივრად მოქნეული მუშტი კბილებში ან თვალში. მუხლი — მუცელში, ან წიხლი ინტიმურ ადგილებში. ეს ყველაფერი კანონით არის აკრძალული. მაგრამ სპორტული ჟინით შეპყრობილ ხალხში ძნელი დასადგენია — შეგნებული იყო ესა თუ ის თავდასხმა, თუ მოულოდნელი, ასე ვთქვათ, ბრძოლის ლოგიკიდან გამომდინარე.

ძველი ბერძენი ოლიმპიონიკები სხეულის განსაკუთრებით დაუცველ ნაწილებს ბამბუკის ფოთლებით იფარავდნენ. საუკუნეში იაპონელმა სამურაებმა სხეულის დაცვის მიზნით ცხენის დაგრეხილი ძუის გამოყენება დაიწყეს. ფეხბურთის მოყვარული გრძელულვაშებიანი ინგლისელი ჯენტლმენები ჯერ სპეციალურ საფარს იკეთებდნენ ფეხებზე, მერე კი გეტრების ჩაცმაც დაიწყეს. ფეხების დასაცავად უფრო „ცივილური" საფარი კი „დერბი ქაუნთის" მოთამაშემ ნიკ ვრაისმა მოიგონა: ეს იყო ვეშაპის დაგრეხილი ულვაშები, რომელიც თავისი მეუღლის კორსეტს გამოაძრო.

ტექნიკურმა პროგრესმა და რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა სხეულის ნაწილების დამცველ საშუალებათა დამზადების ტექნოლოგია. ის კი არა, მასალაც, თავისთავად, უფრო მსუბუქი და სრულყოფილი გახდა, დიზაინი. კი თანამედროვე დამცავ საშუალებებს დღეს მიმართავენ ყველგან, სადაც არის ბრძოლა, ადამიანთა შორის უშუალო კონტაქტი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ამ საშუალებებს სრულყოფა მაინც სჭირდება.

ჰოკეისტის ამუნიცია, მაგალითად ექვს კილოგრამზე მეტს იწონის, მეკარეს კი თავზე დამატებით, სპეციალური მუზარადი ახურავს. სხვათა შორის, სპეციალისტები ამბობენ, რომ მუზარადის დიზაინით შეიძლება მეკარის ხასიათი გამოიცნოო. „მონრეალ კანადიენსის" წარსულში ცნობილ მეკარეს ჟაკ პლანტს არ უყვარდა თურმე დამცავი მუზარადით თამაში. როცა მან დაასრულა სპორტული კარიერა ჟურნალისტებმა სახეზე 41 ნაკერი დაუთვალეს.

ყველაზე საფუძვლიანი ცვლილება დასაცავმა ამუნიციამ ამერიკულ ფეხბურთში განიცადა. მუზარადი აქ, ლითონივით მკვრივი სპეციალური ფირფიტებისგან კეთდება, რომელიც, მართალია, წააგავს ჰოკეისტის მუზარადს, მაგრამ თავისუფლად შეიძლება შეტევის იარაღადაც წარმოვიდგინოთ.

პროფესიონალი მოკრივეები პროფესიონალური ღირსების შელახვად მიიჩნევენ დამცავი შლემების გამოყენებას. არადა, დარტყმები მოკრივეებს, მოგეხსენებათ, საშინლად ძლიერი აქვთ. თავის არეში მიყენებულმა ხშირმა დარტყმებმა შეიძლება დააზიანოს ტვინი და ჯანმრთელი ადამიანი ხეიბრად აქციოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ორიგინალური მოსაზრება გამოთქვა პროფესიული კრივის ერთ-ერთმა სუპერვარსკვლავმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში, ლეგენდარულმა ჯორჯ ფორმენმა: „ჩვენ ხშირად ვიცლებით სისხლით, როგორც დანადარტყმული ღორები. თითქოს სასაკლაოზე ვიყოთ. ჩვენ ჯერ გვაბრუებენ, მერე კი გვსპობენ, როგორც საქონელს. არადა, ტვინი — საოცარი, უნიკალური, ყველაფრისგან განსხვავებული მექანიზმია. ადამიანი სასქესო ორგანოს ყოველმხრივ იცავს დაზიანებისაგან. ტვინს კი, ფაქტობრივად, არ აქცევს ყურადღებას, არ უფრთხილდება. ხალხნო, ნუთუ ტვინი, სასქესო ორგანოზე ნაკლებად გვჭირდება?

ფორმენი ტვინის დასაცავად დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო, მაგრამ რა გამოვიდა ამით? ექსჩემპიონს არავინ ამოუდგა გვერდში, არავინ დაუჭირა მხარი. საქმე ის გახლავთ, რომ კრივის ინდუსტრია დიდი ფულის კეთებითაა დაკავებული, სპორტსმენებს კი არავინ არაფერს ეკითხება. არადა, ცოცხალი მაგალითი, ფორმენის აზრით, თვალწინაა — შეუდარებელი მოჰამედ ალი, რომელსაც დაუცველმა ბრძოლამ ბოლოს და ბოლოს პარკინსონის მოურჩენელ სენამდე მიიყვანა. ალი ლამაზი, მოხდენილი, უჩვეულოდ აწყობილი კაცი, დღეს ასი წლის მოხუცი გეგონებათ...

FAIR PLAY

სიმართლის გუშაგი

„სამართლიანი თამაშების გარეშე შეჯიბრება უხეშ და დამამცირებელ მოვლენად იქცევა".

ნოელ ბეიკერი,
ნობელის პრემიის ლაურეატი

ცხოვრობდა საქართველოში ტანვარჯიშული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საზოგადოება „შევარდენის" სულისჩამდგმელი, სახელოვანი ტანმოვარჯიშე გიორგი ეგნატაშვილი. მის გარშემო მყოფნი განსაკუთრებით იხიბლებოდნენ მისი პიროვნული თვისებებით, კერძოდ კი საოცარი ობიექტურობით. ამ მხრივ იგი ნამდვილი „სიმართლის გუშაგი" იყო...

1939 წელს გიორგი მთავარ მსაჯად დაინიშნა საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრების ფავორიტად მაყურებლები სამართლიანად მიიჩნევდნენ ეგნატაშვილის საუკეთესო მოწაფეს გიორგი ბაბილოძეს. მსაჯებმა იგი ღერძზე სავალდებულო ვარჯიშისათვის გამოიძახეს. გიორგი (გოგლიკო) მსუბუქი მოძრაობით თავს მოევლო ღერძს, შეასრულა ილეთები, შემდეგ ყირიდან დაეშვა, გააკეთა ალმატრიალი, ბოლოს ჰაერში მერცხალივით გაფრინდა და ყველაფერი ეს შესანიშნავი დახტომით დააგვირგვინა. მსაჯებმა ერთხმად აჩვენეს 10 ქულა. იგრიალა ტაშმა. ეს ტაში ეკუთვნოდა ბაბილოძის აღმზრდელსაც, მაგრამ გიორგი ეგნატაშვილი პირქუშად იდგა.

— ბატონებო! — გაისმა მისი ხმა, როდესაც ოვაცია მინელდა, — სამწუხაროდ, ვერავინ შენიშნა ის შეცდომა, რომელიც ჩემმა მოწაფემ დაუშვა. ალმატრიალი ორის ნაცვლად მან სამჯერ შეასრულა. საწყენია, მაგრამ დამალვა არ შემიძლია, მე ჯერ ნამუსიან კაცად მიცნობენ!

დარცხვენილმა მსაჯებმა შეცვალეს გადაწყვეტილება. ამ „საბედისწერო" სიმართლის გამო ეგნატაშვილის საყვარელმა მოწაფემ, პირველიდან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. როდესაც მარტონი დარჩნენ, გიორგი მასწავლებელი მიუახლოვდა დაღვრემილ მოსწავლეს, აკანკალებული ხელი თავზე გადაუსვა და ჩურჩულით უთხრა:

— შენი მასწავლებელი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, ბიჭო!

ავთანდილ ცაგაძე,
პროფესორი.

„სამი მუშკეტერი" და ბოროტრა

არავის სჯეროდა სასწაულის — არც თეორიულად და არც, მით უმეტეს, პრაქტიკულად საფრანგეთის ჩოგბურთელთა ნაკრებს არ უნდა მოეგო დევისის თასის ფინალი ამერიკელებისთვის! მხოლოდ ერთი ადამიანი, 93 წლის ჟან ბოროტრა არ ჰკარგავდა ოპტიმიზმს. და თქვენ წარმოიდგინეთ, მართალი გამოდგა ის და არა ათასობით ჩოგბურთის სპეციალისტი. ლეკონტმა და ფორჟემ საჩოგბურთო სასწაული მოახდინეს, დაამარცხეს აგასის, სამპრასის, ფლაკისა და სეგუსოს გუნდი და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოიპოვეს დევისის თასი — ყველაზე პრესტიჟული გუნდური ჯილდო ჩოგბურთში. ეს მოხდა, არც ისე შორეულ წარსულში, 1991 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში.

დღევანდელი ჩოგბურთელისთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ ჟან ბოროტრა თავის ორ გამარჯვებას უიმბლდონზე, სიამოვნებით გაცვლიდა დევისის ერთ თასში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ჰონორარებია აქ დიდად განსხვავებული. მაგრამ ბოროტრასა და მისი კოლეგების დროს განსხვავებული სტიმული იყო, სხვა ფასეულობები. მსოფლიო ჩოგბურთის პატრიარქი ჟან ბოროტრა ამ სიტუაციას ასე განმარტავდა: „უიმბლდონზე შენ მხოლოდ შენს თავს წარმოადგენ, დევისის თასზე კი ქვეყნის, სამშობლოს ინტერესებს იცავ. განა შეიძლება ამ ორი შეჯიბრების შედარება"?

ეს, რა თქმა უნდა, არ იყო პოზა, ლამაზი სიტყვები, ფსევდოპატრიოტული ლოზუნგი. უბრალოდ, იმ თაობის ჩოგბურთელები ასე ფიქრობდნენ — ბოროტრა, ლაკოსტი, კოშე და ბრუნიონი, საფრანგეთის იმდროინდელი ნაკრების წევრები, რომლებსაც ხალხი სიყვარულისა და მოწიწების ნიშნად ოთხ მუშკეტერს ეძახდა. ცალკე მოპოვებულ არც ერთ წარმატებას არ მოუტანია ჩვენთვის ისეთი სიხარული, როგორიც მოგვიტანა 1927 წლის სექტემბერს ფილადელფიაში მოგებულმა ფინალურმა მატჩმა აშშ-ს ნაკრებთან. ეს იყო საოცარი გამარჯვება, რომელმაც თავდაყირა დააყენა ძალთა თანაფარდობა მაშინდელ ჩოგბურთში. გადამწყვეტი ქულა ფინალში ანრი კოშემ აიღო.

ბოროტრა იგონებს: „სანამ ჩვენი ლეგენდარული გუნდი ჩამოყალიბდებოდა და შეიკვრებოდა, სახელი მსოფლიო ჩოგბურთში ცალ-ცალკე ყველას გვქონდა. ერთმანეთს მისხალს არ ვუთმობდით, მაგრამ მეგობრობაც ვიცოდით და გაჭირვებაში გვერდზე დგომაც. ვიყავით პატიოსანი ყმაწვილები და გვიყვარდა ალალი თამაში. ჩემი აზრით, სწორედ ამან დაგვაახლოვა ერთმანეთთან. ბრძოლის უნარი და ჟინი თავზე საყრელი გვქონდა, მაგრამ მთავარი იყო იმის შეგნება, რომ ყოველი ჩვენგანი თამაშობდა არა მარტო თავისთვის, არამედ მეგობრისთვის, გუნდისთვის, ქვეყნისთვის, ფრანგი ხალხისთვის. აი, როცა ეს ჭეშმარიტება გავაცნობიერეთ, შეიკრა კიდეც ლეგენდარული გუნდი.

კარგი ბიჭობა და ერთმანეთში მეგობრობა არ იყო ცუდი საქმე. მაგრამ მხოლოდ ამ თვისებებით ისინი ვერ გახდებოდნენ დიდი ჩემპიონები. ამ კვარტეტის უნიკალურობა იყო ის, რომ მისი ყოველი წევრი იდეალურად ასრულებდა თავის როლს, უდავოდ განსხვავებულს და გუნდისათვის ეგზომ საჭიროს. ლაკოსტი, მაგალითად, შეუდარებელი იყო უკანა ხაზიდან თამაშში და გამოირჩეოდა ფართო ინტელექტით. კოშე წარმოუდგენლად ძლიერ დარტყმას ფლობდა მარჯვნიდან, ბრიუნიონს ტოლი არ ჰყავდა წყვილთა თამაშში, ბოროტრა კი მარცხნიდან დარტყმის დიდოსტატი იყო.

— სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ბოროტრა პარიზში ფოშის ავენიუზე ცხოვრობდა. მისი დიდებული სახლის ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა ვარსკვლავის მოედნის ნაწილი და მისი გვირგვინი — ტრიუმფალური თაღი. ასეთ დიდებულ, ფეშენებელურ აპარტამენტებს მოყვარული ჩოგბურთელი, ცხადია, ვერ შეიძენდა. ბოროტრა არ მალავდა, რომ განათლებით სანახევროდ იურისტი იყო, სანახევროდ — ინჟინერი, ორი ფაკულტეტი დაამთავრა სორბონაში და შესაბამისად ორი დიპლომი მიიღო. თავის შემოსავალს იგი „სატამის" ფირმაში მუშაობას უკავშირებდა, რომელიც გამორჩეული იყო ნავთობის ბიზნესით. ბოროტრა 90 წლის ასაკშიც ამ ფირმის მთავარ კონსულტანტად ითვლებოდა.

მაგრამ მისი საქმიანობა მხოლოდ ნავთობის ბიზნესით არ შემოფარგლულა. 1940-42 წლებში მარშალ პეტენის მთავრობაში მას სპორტის მინისტრის პოსტი ეკავა. და აშკარად თანაუგრძნობდა წინააღმდეგობის მოძრაობას, რაც, ბუნებრივია, არ მოსწონდათ ოკუპირებულ საფრანგეთში მოპარპაშე ფაშისტებს. სულ მალე იგი ციხეში აღმოჩნდა. ბოროტრამ იცოდა, რომ მეზობელი საკანიდან ყოველდღე გაჰყავდათ პატიმრები დასახვრეტად. იგი სასწაულით გადაურჩა იგივე განაჩენს, მაგრამ ამაზე საუბარი არასდროს არ უყვარდა. ეს კი არა, არასდროს არ ატარებდა სამხედრო ჯვარს, რომლითიც აღინიშნა მისი მონაწილეობა ორ მსოფლიო ომში.

სამაგიეროდ, მუდამ სიამოვნებით იგონებდა ჩოგბურთთან პირველი ნაცნობობის დღეებს. მაშინ იგი 14 წლისა იყო. დაქვრივებულმა დედამ შვილი სტუმრად გააგზავნა ინგლისში, ოჯახის მეგობრებთან. სახლში, სადაც ცხოვრობდა ჟანი, აღმოჩნდა ჩოგბურთის კორტი. ერთხელ ოჯახის უფროსმა პარტნიორობა სთხოვა. ჟანს არასდროს სჭერია ხელში ჩოგანი, მაგრამ თამაში დაიწყო იმით, რომ ბურთს ხან მოედნის ერთ კუთხეში აგდებდა, ხან მეორეში. ოჯახის უფროსი შოკირებული იყო ახალბედა ჩოგბურთელის წარმატებით.

იქვე, ინგლისში, ჩაუტარეს საჩოგბურთო ეტიკეტის პირველი გაკვეთილები. კლასიკური ჩოგბურთის ტრადიციებმა იმდენად მოხიბლა ყმაწვილი, რომ სამუდამოდ მისი ერთგული დარჩა. მეტოქის მოწოდების წინ იგი მუდამ ამბობდა „მზად ვარ", თავისი მოწოდების წინ კი „ვთამაშობ". ახლა ამ სიტყვებს უიმბლდონის ტურნირზეც ვერ გაიგონებთ. ეს კი არა, ბოროტრას აზრით, დღეს მომწოდებელი იმას ცდილობს, რომ მეტოქე არ იყოს მზად ბურთის ასაღებად და მომენტსაც ასეთს არჩევს საგულდაგულოდ.

ბოროტრას არც საჩოგბურთო ათლეტიზმის მუდმივი ზრდა მოსწონდა. მისი აზრით, ძალა ნელ-ნელა თრგუნავს ტექნიკურ ჩოგბურთს და თუ ასე გაგრძელდა მომავალშიც, ჩოგბურთი დაილუპებაო. „თამაში აღარ არის გართობა, — ამბობდა ხოლმე, — იგი აღარც ჩოგბურთელს სიამოვნებს და არც მაყურებელს მოსწონს. ჩოგბურთი ტრაგიკულად კარგავს თავის სილამაზეს. განა შეიძლება მატჩის შედეგი პირველი მოწოდების სიძლიერით გაიზომოს?"

სხვათა შორის, მუშკეტერთა რომანტიკული ჩოგბურთი ბევრს უნახავს თვით ოსტატის შესრულებით. 93 წლის ბოროტრა სმენის აპარატითა და გულის სტიმულატორით აღჭურვილი სისტემატურად გამოდიოდა კორტზე. სწორედ ამ ასაკში 112-ედ მიიღო მონაწილეობა საფრანგეთისა და ინგლისის ჩოგბურთელთა ტურნირში, რომელიც ტრადიციულად უიმბლდონზე ეწყობა ხოლმე. ეს ასპარეზობა (პირველად იგი 1929 წელს ჩატარდა) წელიწადში ორჯერ იმართება და ბოროტრას თითქმის არ გამოუტოვებია არც ერთი. ბოლო ტურნირში თამაშის წინ მან ტრადიციული ნახევარსაათიანი მოთელვა ჩაატარა და მერე გამოვიდა კორტზე და დაამარცხა ინგლისელი მეტოქე. ბოროტრას ბევრჯერ გაუოცებია პარიზი. ერთი ასეთი სენსაცია მოხდა მაშინ, როცა 90 წლის ჩოგბურთელმა მეორედ მოიყვანა ცოლი.

ჩოგბურთს ვითამაშებ მანამ, სანამ შევძლებ ჩოგნის ხელში დაჭერას, — უთქვამს ხშირად 90 წელს გადაცილებულ ვეტერანს. როცა მარჯვენა ხელზე ართრიტმა შეაწუხა, იგი სპეციალურად მივიდა მწვრთნელთან და ორი ხელით თამაშის რამდენიმე გაკვეთილი ჩაიტარა. ბოროტრას დროს ასეთი მანერით თამაში უწესობად ითვლებოდა...

იმისათვის, რომ უკეთესი წარმოდგენა შეგიქმნათ „ოთხ მუშკეტერზე", გაგაცნობთ ზოგიერთ დეტალს მათი ცხოვრებიდან.

ჟან ბოროტრა. დაიბადა 1898 წ. 13 აგვისტოს ბიარინცში. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი. 1927-32 წ. ფლობდა დევისის თასს. იყო უიმბლდონის ჩემპიონი ერთეულებში (1924-26) და წყვილებში. საფრანგეთისა და ავსტრალიის არაერთგზის ჩემპიონი. მსოფლიოს მეორე (1926) და მესამე (1930-32) ჩოგანი.

ჟაკ ბრუნიონი. დაიბადა 1895 წ. 11 მაისს, პარიზში. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი წყვილთა თამაშში. უიმბლდონის და ავსტრალიის მრავალგზის ჩემპიონი წყვილთა შორის, დევისის თასის არაერთგზის მფლობელი.

ჟან რენე ლაკოსტი. დაიბადა 1895 წ. 2 ივლისს პარიზში. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი. დამარცხებული ჰყავს ტილდენი, კოშე, ჯონსტონი, ბოროტრა. უიმბლდონის, აშშ-ს, საფრანგეთისა და ავსტრალიის არაერთგზის ჩემპიონი ერთეულებში და წყვილთა შორის. დევისის თასის მრავალგზის მფლობელი. 1926-27 წწ მსოფლიოს პირველი ჩოგანი. 1929 წ. ფილტვების ავადმყოფობის გამო თავი დაანება ჩოგბურთს, 1932 წელს დაბრუნდა კორტზე, მაგრამ წარუმატებლად.

ანრი კოშე. დაიბადა 1901 წ. 14 დეკემბერს ლიონში. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი. უიმბლდონის, აშშ-ს და საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი ერთეულებსა და წყვილებში. დევისის თასის მრავალგზის მფლობელი. 1928-31 წწ მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი. 1933 წ. გახდა პროფესიონალი. 1945 წ. დაბრუნდა მოყვარულებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ იგებდა საერთაშორისო ტურნირებს. 45 წლის ასაკში დასახელებული იყო საფრანგეთის №1 სპორტსმენად.

მკითხველი — გაზეთი

● ***სად არის ამჟამად კახი კახიაშვილის მწვრთნელი ვანო გრიქუროვი?***

ნ. ელიაშვილი,
თბილისი.

მას შემდეგ, რაც კახი კახიაშვილი საბერძნეთში გადავიდა, გრიქუროვს დარჩა პერსპექტიული ძალოსანი მერაბ ასანიძე, როგორც ადრე „ლელო" წერდა, იგი ამხილეს დოპინგის მიღებაში და სამუდამოდაა დისკვალიფიცირებული.

ამჟამად გრიქუროვი მუშაობს პოლონეთში.

● ***სად არის მიხეილ მესხი-უმცროსი?***

ლ. ჩუბინიძე,
რუსთავი.

როგორც იცით, თბილისში დიდი ხანია მუშაობს ცნობილი ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზა". მიხეილ მესხი - უმცროსი ამჟამად მამის სახელობის ამ საფეხბურთო სკოლის დირექტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ ფინალისტებს • A ჯგუფი

UEFA EURO 96 England

2. შვეიცარია

- ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1895 წელს
- ფიფას წევრი 1904 წლიდან
- სათამაშო ფორმა: მაისურები – წითელი, ტრუსები – თეთრი, გეტრები – შავ-თეთრ-წითლით გაწყობილი
- პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა 1905 წლის 12 თებერვალს საფრანგეთის ნაკრებთან პარიზში – 0-1.
- კონტინენტის პირველობაში მონაწილეობს 1964 წლიდან

1964 წელი. 1/16 ფინალი: ნიდერლანდები — 1-3, 1-1.

1968 წ. შესარჩევი ციკლი: რუმინეთი — 2-4, 7-1. კვიპროსი — 5-0, 1-2. იტალია — 2-2, 0-4, ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1972 წ. შ. ც.: საბერძნეთი — 1-0, 1-0. მალტა — 2-1, 5-0. ინგლისი — 1-1, 2-3. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1976 წ. შ. ც.: თურქეთი — 1-2, 1-1. სსრკ — 0-1, 1-4. ირლანდია — 1-0, 1-2. ქვეჯგუფში მეოთხე ადგილი.

1980 წ. შ. ც. პოლონეთი — 0-2, 0-2. ჰოლანდია — 1-3, 0-3. გდრ — 0-2, 2-5. ისლანდია — 2-0, 2-1. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1984 წ. შ. ც.: ბელგია — 3-1, 0-3. გდრ. — 0-0, 0-3. შოტლანდია — 2-2, 2-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1988 წ. შ. ც.: შვედეთი — 0-2, 1-1. პორტუგალია — 1-1, 0-0. იტალია — 2-3, 0-0. მალტა — 4-1, 1-1. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1992 წ. შ. ც.: შოტლანდია — 1-1, 2-2, რუმინეთი — 0-0, 0-1. ბულგარეთი — 2-0, 3-2. სან-მარინო — 4-0, 7-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1996 წ. შ. ც.: შვედეთი — 4-2 (ორელი, ბლომკვისტი — საკუთარ კარში, სფორცა — 2), 0-0. უნგრეთი — 2-2 (სიუბია — 2, თურქილმაზი, სფორცა, ორელი), ისლანდია — 1-0 (ბიკელი), 2-0 (კნუპი, თურქილმაზი), თურქეთი — 2-1 (კოლერი, ბიკელი), 1-2 (ხოტიგერი). ქვეჯგუფში — პირველი ადგილი.

სულ შესარჩევ ციკლში ჩაატარა 58 მატჩი. მოიგო 21, ფრედ დაასრულა 15 და წააგო 22 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 93-92. ევროპის პირველობის ფინალური ტურნირის დებიუტანტი.

შვეიცარიის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა:

მეკარეები: მარკო პასკალო — 1966 წ. 9 მაისი. „სერვეტი". 33. პასკალ ცუბერბიულერი — 1971 წ. 8 იანვარი. „გრასხოპერსი". 3. შტეფან ლემანი — 1963 წ. 15 აგვისტო. „სიონი". 6.

მცველები: ულტერ ფერნანდესი — 1965 წ. 20 აგვისტო. „სერვეტი". 3 (1). ჰარალდ გამპერლე — 1968 წ. 11 მაისი. „გრასხოპერსი". 4. ალან გაიგერი — 1960 წ. 5 ნოემბერი. „გრასხოპერსი". 110 (2). შტეფან ჰენჩოსი — 1974 წ. 7 სექტემბერი. „ჰამბურგი". 13. დომინიკ ჰერი — 1965 წ. 25 ოქტომბერი. „სიონი". 51 (4). მარკ ჰოტიგერი — 1967 წ. 7 ნოემბერი. „ევერტონი". 57. (5). ივან კვენტინი — 1970 წ. 2 მაისი.

სფორცა

„სიონი". 23. პასკალ ტიულერი — 1970 წ. 10 იანვარი. „გრასხოპერსი". 5. რამონ ვეგა — 1971 წ.14 ივნისი. „გრასხოპერსი". 6. შტეფან ვოლფი — 1971 წ. 31 იანვარი. „ლიუცერნი".

ნახევარმცველები: თომას ბიკელი — 1963 წ. 6 ოქტომბერი. „ვისელ კობე" (იაპონია) 52 (5). ქრისტოფერ ბონვინი — 1965 წ. 14 აპრილი. „სიონი" 40 (8). ქრისტიან კოლომბი — 1968 წ. 24 აპრილი. „ლუგანო". 4. სებასტიან ფურნიე — 1971 წ. 27 ივნისი. „სიონი". 10 (1). მარსელ კოლერი — 1960 წ. 11 ნოემბერი. „გრასხოპერსი". 49 (3). კრისტოფერ ორელი — 1968 წ. 7 აპრილი. „სენტ-ეტიენი". 44 (6). ჩირიაკო სფორცა — 1970 წ. 2 მარტი. „ბაიერნი", გერმანია. 38 (4). ალან სუტერი — 1968 — წ. 22 იანვარი. „ფრაიბურგი" გერმანია. 60 (5). იოჰან ვოგელი — 1977 წ. 8 მარტი. „გრასჰოპერსი". 2. მარკო უოლკერი — 1970 წ. 2 მაისი. „ბაზელი". 1. მურატ იაკინი — 1974 წ. 15 სექტემბერი. „გრასხოპერსი". 2.

თავდამსხმელები: სტეფან შაპიუზა — 1969 წ. 28 ივნისი. „ბორუსია" დორტ. გერმანია. 22. (12). მარკო გრასი — 1965 წ. 8 აგვისტო. „რენი" (საფრანგეთი). 28. (2). ადრიან კნუპი — 1968 წ. 2 ივლისი. „კარლსრუე" გერმანია. 43 (26). ნესტორ სუბიათი — 1966 წ. 23 აპრილი. „გრასხოპერსი". 14 (5). კუბილაი თურქილმაზი — 1967 წ. 4 მარტი. „გრასხოპერსი". 47 (18). რაფაელ ვიკი — 1977 წ. 26 აპრილი. „სიონი". 0. დარლო ზუფი — 1964 წ. 7 დეკემბერი. „ბაზელი". 17 (3).

ნაკრების მწვრთნელი — არტურ ჟორჟე.

„A" ჯგუფში შვეიცარიელთა მეტოქენი და მათი შეხვედრების თარიღები:

8 ივნისი. ლონდონი. „უემბლის" სტადიონი — ინგლისი.

13 ივნისი. ბირმინჰემი. „ვილა პარკი" — ჰოლანდია.

18 ივნისი. ბირმინჰემი. „ვილა პარკი" — შოტლანდია.

შვეიცარიის ეროვნული ნაკრები

შვეიცარიული ფეხბურთი ევროპაში წლების განმავლობაში დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა. მსოფლიო ჩემპიონატებში, მაშინაც კი, როცა ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლებას იღებდა, უფერულად თამაშობდა, ევროპის პირველობის დასკვნით ნაწილში კი წლეულს საერთოდ პირველად მოხვდა.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეროვნულ ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ახლო წარსულში კარგად ცნობილი გერმანელი ცენტრალური მცველი ული შტილიკე. თუკი მანამდე შვეიცარიელები ევროპულ ასპარეზზე უფრო „გასანკეპლავ ბიჭებს" ჰგავდნენ, 1991 წელს მათ შეძლეს სოფიაში ბულგარელთა დამარცხება, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად კი მხოლოდ ერთი ქულა დააკლდათ. ასე იყო თუ ისე, შვეიცარიელმა გულშემატკივრებმა ირწმუნეს, რომ მათ გუნდს შეეძლო თამაშის გაუმჯობესება.

მალე შტილიკემ „ადგილი გაუცვალა" ინგლისელ მწვრთნელ როი ჰოჯსონს და „ქსამაქსში" გადაინაცვლა. მაშინ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არავინ იცოდა, თუ რა როლს შეასრულებდა ეს ინგლისელი სპეციალისტი, ლონდონელი ავტობუსის მძღოლის შვილი, შვეიცარიულ ფეხბურთში. მანამდე ჰოჯსონი შვეციასა და იტალიაში მუშაობდა, ნამდვილ წარმატებებს კი სწორედ შვეიცარიის ნაკრებში მიაღწია.

მისი პირველი დიდი მიღწევა: ნაკრებმა ჩინებულად წარმართა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები და აშშ-შიც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მეორეც: შვეიცარიელებმა დიდი დაძაბვის გარეშე მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილის საგზური, მაშინ, როდესაც ამ ჯგუფის მთავარი ფავორიტები — შვედები მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდნენ. ამან შვეიცარიაში ნამდვილი ეიფორია გამოიწვია, ჰოჯსონი აღიარებული იქნა „წლის ადამიანად", მას „შვეიცარიის სპორტის ისტორიაში ყველაზე გამორჩენილი პიროვნებაც" კი უწოდეს.

ასეთ ოპტიმისტურ ვითარებაში შვეიცარიელებს მოულოდნელად დიდი უსიამოვნება დაატყდათ. ჰოჯსონმა ვერ გაუძლო ცთუნებას და დათანხმდა მულტიმილიონერ მორატის წინადადებას სათავეში ჩადგომოდა მილანის „ინტერს". მისი კონტრაქტი ორწლიანია და ჰოჯსონი ორ მილიონ დოლარს მიიღებს, როგორც გამოირკვა, ორნახევარჯერ მეტს, ვიდრე შვეიცარიის ნაკრებში.

ასეთი კვალიფიციური მწვრთნელის დაკარგვამ ერთხანს შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციაში დაბნეულობა გამოიწვია, შემდეგ კი ნაკრებს სასწრაფოდ სათავეში ჩაუყენეს ცნობილი პორტუგალიელი სპეციალისტი არტურ ჟორჟე. იგი ადრე გამორჩენილი ფეხბურთელი იყო, 1987 წელს „პორტუს" შემადგენლობაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლა. წვრთნიდა პორტუგალიის ნაკრებს, „პარი სენ-ჟერმენს", ლისაბონის „ბენფიკას" და ყველგან კარგი წარმატებები ჰქონდა. პირველივე პრესკონფერენციაზე არტურ ჟორჟემ დიპლომატიურად განაცხადა, რომ წინამორბედი მწვრთნელი შესანიშნავად მუშაობდა და ახლა რამეს შეცვლის დრო არ არის.

რა თქმა უნდა, ახლა ვერავინ იტყვის, რა მოელის ჟორჟესა და შვეიცარიის ნაკრებს წინასწარ ჯგუფში, სადაც მის გარდა ინგლისელები, ჰოლანდიელები და შოტლანდიელები გამოდიან, მატჩები კი გაიმართება ლონდონსა და ბირმინგემში. ყოველ შემთხვევაში შვეიცარიელები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ მეოთხედფინალში გასვლას (ინგლისელებთან ერთად!).

რა შეიძლება ითქვას ნაკრების ბირთვზე? კარს სისტემატურად იცავს 30 წლის მარკო პასკოლო (ჟენევის „სერვეტი"), დაცვაში ერთგვარი ცვლილებები ხდება, მაგრამ თითქმის ყოველთვის თამაშობენ მარკ ჰოტინგერი (ეს 28 წლის ფეხბურთელი წარმატებით გამოდის ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედში") და გუნდის ვეტერანი, 35 წლის ალენ გაიგერი (ციურიხის „გრასჰოპერსი"), რომელსაც ნაკრებში ასზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. საკმარისად ძლიერია შუა ხაზიც, სადაც გამოსვლის ძირითადი კანდიდატები არიან მიუნხენის „ბაიერნში" მოთამაშე, 26 წლის ჩირიაკო სფორცა, 28 წლის ალენ სუტერი, რომელიც ადრე ასევე „ბაიერნში" გამოდიოდა, შარშან კი „ფრაიბურგში" გადაინაცვლა, და საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „სენტ-ეტიენის" ფეხბურთელი, 28 წლის კრისტოფ ორელი.

გუნდის მთავარ ძალად თავდასხმა ითვლება. თვით შვეიცარიელი მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მათ ამჟამად ხუთი პირველხარისხოვანი ფორვარდი ჰყავთ, მეტი, ვიდრე დანარჩენ ფინალისტებს. სტეპან შაპიუიზა, (დორტმუნდის „ბორუსია") უკვე კარგა ხანია წარმატებით გამოდის ბუნდესლიგაში, აქვს მაღალი ტექნიკა და ჩინებული შედეგიანობა. ბოლო წლების განმავლობაში იგი ნაკრების თავდასხმის ლიდერის როლს ასრულებს. ასევე ბუნდესლიგის კლუბ „კარლსრუეში" თამაშობს 27 წლის ადრიან კნუპი. კიდევ ერთი თავდამსხმელი მარკო გრასი საფრანგეთის დივიზიონის კლუბ „რენში" გამოდის. ამ რამდენიმე წლის წინათ შვეიცარიის მოქალაქეობა მიიღო თურქმა თავდამსხმელმა კუბილაი თურქილმაზმა. ეს 29 წლის ფეხბურთელი, რომელიც ახლა სტამბოლის „გალათასარაიში" გამოდის, კარგი შედეგიანობით გამოირჩევა, რაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებშიც დაამტკიცა. იგივე შეიძლება ითქვას ნესტორ სუბიატზე, ნაკრების ერთადერთ თავდამსხმელზე, რომელმაც სამშობლოში დარჩენა არჩია — ციურიხის „გრასჰოპერსში".

შაპიუზა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

XXVII ტური

„შევარდენი-1906" — „კოლხეთი-1913" 1:3

„შევარდენი-1906": აბუსერიძე, ქველაძე (ალადაშვილი, 46), მელქაძე, კვიტატიანი, სვანიძე, ნიტაეშვილი, კანკავა, ჯიქია, გოდერძიშვილი, მოსულიშვილი (ქანთარია), მინდიაშვილი.

„კოლხეთი-1913". გოგუა, ქუნთელია, კაკაჩია, ხუჯაძე, ინლაშვილი, ლალანიძე, გოგიტიძე, ამბიძე, გიორგაძე, გაბისონია, ბულუხია (თიბილაშვილი).

მსაჯი: თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

გოლები: გაბისონია (47,30), გოდერძიშვილი (26), ამბიძე (35).

ფოთელებისათვის ეს შეხვედრა მეტად პრინციპული გახლდათ, რადგან ევროპის საკლუბო ტურნირებზე მოხვედრის რეალური შანსი გააჩნიათ. თამაში გუნდებმა ფრთხილად დაიწყეს, პირველი სახიფათო მომენტი თბილისელებმა შექმნეს მე-15 წუთზე. გოდერძიშვილმა მცველებთან ბრძოლაში იმარჯვა, ახლო მანძილიდან ვარდნაში დაარტყა, მაგრამ გოგუამ იხსნა კარი. ათი წუთის შემდეგ ქველაძე-გოდერძიშვილი-ნიტაეშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა და ბურთი მცირე მანძილით აცდა მიზანს. პირველ ტაიმში შევარდნელი მცველები კარგად ართმევდნენ თავს „კოლხეთის" შეტევებს, მაგრამ მასპინძელთა დაცვის ბურჯმა ქველაძემ მცირე ტრავმა მიიღო და იგი შეცვალეს, რითაც ფოთელებმა მეორე ტაიმის პირველივე წუთებზე ისარგებლეს — გაბისონიამ თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. გაშვებულმა გოლმა გამოაცოცხლა თბილისელები, ჯიქიამ გარღვევაზე გაიყვანა მასპინძელთა საუკეთესო ბომბარდირი გოდერძიშვილი და... 1-1. შემდეგ ფოთელებმა დიდი ძალებით შეუტიეს. მათგან საუკეთესო იყო გაბისონია, რომელმაც მეორე გოლი გაიტანა ამ შეხვედრაში 2-1. მატჩს კი ამბიძემ დაუსვა წერტილი 3-1. ფოთელები კვლავ განაგრძობენ ბრძოლას ევროპის საკლუბო ტურნირებზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

- რუსეთის ფეხბურთის თასის გათამაშების ფინალში მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე 11 მაისს ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ლოკომოტივი" და „სპარტაკი". თამაში დამთავრდა „ლოკომოტივის" გამარჯვებით — 3-2, საპატიო პრიზიც მას ერგო.

- საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია ქ. ოსერის პროვინციულმა კლუბმა „ოსერმა". იგი დაეუფლა ქვეყნის ჩემპიონის წოდებას.

- მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" ინგლისის ჩემპიონობა მოიპოვა, იგი ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში შეხვდა „ლივერპულს". „მანჩესტერ იუნაიტედმა" აქაც იმარჯვა 1-0 და „დუბლი" გააკეთა.

- უკრაინაში შეიქმნა პროფესიული ლიგა, რომელიც აერთიანებს უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების გუნდებს.

ლიგის პრეზიდენტია გ. სურკისი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი — დ. ჩელიბენკო, ვიცე-პრეზიდენტები — ა. რევუცკი, ი. ფედორეცი, ვ. ნოვიკოვი.

- ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის 80 წლის აღსანიშნავად მისი სახელი დაერქვა რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ ბავშვთა თავშესაფარს.

გუშინ... • გუშინ... • გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური მატჩები. „დინამომ" დაამარცხა „ქიმიკოსი" 99:71, „ვითამ" — საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის გუნდი 88:75.

ჩინეთის საპატიო მედალი – გოჩა გოგრიჭიანს

სოხუმის „ცხუმის" ყოფილი მეკარე გოჩა გოგრიჭიანი ამჟამად ჩინეთის ჩემპიონია „შანხაი შენხუას" შემადგენლობაში.

საპატიო მედალი გოჩა გოგრიჭიანს გადაეცა როგორც უცხოელს, რომელმაც 1995 წელს ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ქალაქ შანხაის, როგორც ჩინეთის უდიდესი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრის განვითარების საქმეში.

საპატიო მედალი გოჩა გოგრიჭიანს გადასცა ქალაქ შანხაის მერმა.

ჭადრაკი

სტურუამ შესანიშნავად ითამაშა

ერევანში, შარშან გარდაცვლილი ცნობილი სომეხი დიდოსტატისა და საჭადრაკო კომპოზიტორის ჰენრიხ კასპარიანის მემორიალში სხვადასხვა ქვეყნის ასზე მეტი დიდოსტატი, ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი იბრძოდა გამარჯვებისათვის, მათ შორის დიდი ჯგუფი საქართველოდან. შეჯიბრება მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად.

დიდოსტატმა ზურაბ სტურუამ 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ქების ღირსია ჩვენი ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი გიორგი ყაჭეიშვილი, რომელიც გამარჯვებულს 0,5 ქულით ჩამორჩა და II ადგილზე გავიდა, და, რაც მთავარია, უკვე მეორედ შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ბალის მისაღებად საჭირო ქულათა ნორმა.

შეჯიბრებაში დაწესებული იყო მრავალი პრიზი. ქალთა შორის ყველაზე უკეთ ითამაშა დიდოსტატმა ნინო ხურციძემ, გოგონებში საუკეთესო შედეგისათვის ჯილდო მიიღო ფიდეს ოსტატმა რუსუდან გოლეთიანმა. ცალკე პრიზი იყო დაწესებული ვეტერან მოჭადრაკეთათვის (60 წელს ზევით), აქ ყველაზე უკეთესი შედეგი დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძეს ჰქონდა.

ოთხმა ყაიმმა ოთხი ქულა შეადგინა

მადრიდში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირს ოთხი ტურის შემდეგ ლიდერობს ბელორუსი ბორის გელფანდი — 3 ქულა. II-III ადგილებს იყოფენ ვალერი სალოვი (რუსეთი) და ესპანელი მიგელ ილიესკასი — 2,5 — 2,5 ქულა. ჩვენს თანამემამულეს ზურაბ აზმაიფარაშვილს, ისევე როგორც ინგლისელ მაიკლ ადამსს და ალექსეი შიროვს (ესპანეთი) 2-2 ქულა აქვთ.

აზმაიფარაშვილმა ოთხივე ბრძოლა ყაიმით დაამთავრა, პირველ ტურში — ალექსანდრე მიროზევიჩთან (რუსეთი), მეორეში — პაბლო სან სეგუნდოსთან (ესპანეთი), მესამეში — ალექსი შიროვთან და მაიკლ ადამსთან. აღსანიშნავია, რომ ბოლო შეხვედრა ქართველი დიდოსტატის უპირატესობით მიმდინარეობდა, რომელმაც მე-40 სვლაზე ხელიდან გაუშვა მოგება.

კრივი

ექვსი ექსჩემპიონი

ნიუ-იორკის „მედისონ სკუერ გარდენში" გაიმართა სამი ათრაუნდიანი ბრძოლა მძიმე წონის ცნობილ მოკრივეთა შორის. ტიმ უიტერსპუნმა (38 წლის) მეხუთე რაუნდის მიწურულს რამდენიმე ნოკდაუნის შემდეგ აიძულა ლუის გონსალესი (30 წლის) უარი ეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. ლენოქს ლუისმა (30 წლის) უმნიშვნელო უპირატესობით აჯობა რეი მერსერს (35 წლის), ხოლო 34 წლის ბობი კუიშმა მეხუთე რაუნდის შემდეგ უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე ევანდერ ჰოლიფილდთან (33 წლის). შეგახსენებთ, რომ ექსივე მოკრივე სხვადასხვა დროს მსოფლიოს ჩემპიონი იყო (კუიში 79,4 და 86,2 კგ წონებში).

... ტაისონს ეჯავრება მთელი ქვეყანა

● *ხოსე ტორესი (ყოფილი მოკრივე; დაწერა ბესტსელერი სათაურით: „ცეცხლი და შიში — მაიკ ტაისონის საიდუმლოება").*

— ამ კაცს რატომღაც არ ვუყვარვარ, თუმცა ერთხანს ჩემს მეგობრად მოჰქონდა თავი და მეც ასე ვთვლიდი. ახლა ვფიქრობ, ალბათ შურდა ჩემი. მე მწვავედ განვიცადე ყველაფერი, რაც ჩემზე დაწერა, თუმცა... უპატივცემულოდ მას მაინც ვერ მოვიხსენიებ.

● *თუ არ ვცდები, ფილმს უნდა იღებდნენ ამ წიგნის მიხედვით?*

— ფილმს იღებენ, მაგრამ მე არავინ არაფერს მეკითხება.

● *როგორ გაჩნდა ბზარი ხოსე ტორესისა და თქვენს ურთიერთობაში?*

— ერთხელ ხოსემ მკითხა მაქვს თუ არა უფლება შენზე წიგნი დავწეროო. მე მაშინ 20 წლისა ვიყავი, გულუბრყვილო, გამოუცდელი ყმაწვილი და თანხმობა მივეცი. ტორესი სულ იმას მეკითხებოდა, რატომ გიყვარს ძალადობა ქალების მიმართო. საიდან მოჰქონდა ეს ამბები არ ვიცი, მაგრამ მაშინ ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევდი.

● *თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ იმ პერიოდში ალალი და მიამიტი ყმაწვილი იყავით?*

— დიახ, ასე იყო. მე მაშინ მწამდა ადამიანების და არ მეგონა თუ ამდენ ბოღმას იტევდნენ გულში.

● *რას იტყვით რობინ გივენსის პიროვნებაზე (გივენსი ტაისონის მეგობარი ქალი იყო, ზოგი მას მეუღლესაც უწოდებდა, სასამართლოზე ტაისონის წინააღმდეგ მისცა ჩვენება).*

— ჩვენ სულ ბავშვები ვიყავით და არ გვქონდა შეგნებული, რომ ცხოვრებაში მთავარია ცოლქმრული ურთიერთობა. ამისათვის მზად არ ვიყავით. მან ბევრი არასწორი რამ თქვა სასამართლოზე, მაგრამ მისი საწინააღმდეგო მაინც არაფერი მაქვს. ეს კია, რობინთან არავითარ შემთხვევაში არ ვიცხოვრებდი.

● *როგორი ადამიანია დონ კინგი (ტაისონის მთავარი მრჩეველი და პროფესიული კრივის ერთ-ერთი ყველაზე გაქნილი პრომოუტერი).*

— ნამდვილი მამაკაცია, თანაც კარგი ბიზნესმენი. ეჭვიანია იმდენად, რომ მეგობრებსაც არ ენდობა. ისე მეჩვენება, რომ ბოლომდე არც მე მენდობა.

● *პარანოიკი ხომ არ არის?*

— ვინც კრივის ბიზნესს მისდევს, პარანოიკითაა დაავადებული მეტ-ნაკლებად.

● *როგორი აზრი შეგექმნათ პატრიცია გიფორდზე (ეს ქალბატონი სასამართლოს თავმჯდომარე იყო ტაისონის პროცესზე)?*

— მას არაფერი აინტერესებდა სახელის მოხვეჭის გარდა. მე ვიყავი მისი შანსი და აჩვენა კიდეც ქვეყანას, რომ სწორედ მან ჩასვა მაიკ ტაისონი. უჩემოდ იგი არარაობად დარჩებოდა. ასეთი ხალხი ორმაგად საშიშია მართლმსაჯულებაში.

● *თქვენი აზრით, სასამართლო პროცესი ფარსი იყო?*

— რა თქმა უნდა. მე რომ მართლაც დამნაშავე ვყოფილიყავი იმაში, რასაც მაბრალებდნენ, სულ ცოტა 60-წლიან პატიმრობას ვიმსახურებდი. ეს კი არა, თორმეტივე ნაფიც მსაჯულს დამნაშავედ რომ ვეცანი, მაქსიმალურ სასჯელს მომცემდნენ.

● *თქვენს განაჩენში რასიზმის ელემენტებმა ხომ არ იმძლავრა?*

— რასიზმი მუდამ არსებობდა. მე, მაგალითად, უამრავი ცუდი გამიკეთებია თეთრკანიანებისთვის. მე ავადმყოფურად ამპარტავანი ვიყავი და ორთავე მხარეს ვებრძოდი გამძაფრებით — შავებსაც და თეთრკანიანებსაც. და აი, ორთავე მხარეს მიეცა შურისძიების საშუალება. ისინი მე მტრად მთვლიდნენ და მზად იყვნენ ბოლომდე ჩავეწიხლე. წინააღმდეგ შემთხვევაში მე გავანადგურებდი მათ. ეს კარგად იცოდნენ.

● *თქვენ ყველაფერი გქონდათ თავის დროზე. ფული, სახელი, გყავდათ ქალები, გულშემატკივრები. რა იყო თქვენი შეცდომის თავი და თავი?*

— არავინ არ უნდა შემყვარებოდა.

● *თქვენი აზრით, ცუდია სიყვარული?*

— სხვისთვის არ ვიცი, ჩემთვის კი ცუდი ყოფილა.

● *რა გაძლევდათ სტიმულს ციხეში ყოფნის დროს?*

იმის შეგნება, რომ 100 წლის შემდეგაც ვერ გამტეხდნენ.

ტაისონი მეუღლესთან ერთად

● *მოწყენილი იყავით ალბათ...*

— ციხეში მივხვდი, რომ ამქვეყნად მარტო დავრჩი. ჩემი ბედი, მაინცდამაინც არ მაწუხებდა, ამიტომაც ერთგვარი აპათია დამეუფლა — არ მინდოდა არავის ნახვა.

● *ნუთუ ერთხელაც არ წამოგსვლიათ ცრემლი?*

— არც ერთხელ.

● *საკუთარი თავი მაინც არ გეცოდებოდათ?*

— მე კარგად ვგრძნობდი, რომ ჩემს წინააღმდეგ იყო ყველა. ამიტომაც ლირიკის უფლება არ მქონდა — ყოველ წუთს, ცხოველად, უნდა ვყოფილიყავი.

● *როგორც ამბობენ, ისლამმა ციხეში გაგიტაცათ?*

— ძალზე მიშველა. ისლამი რომ არა, რას მოვიმოქმედებდი კაცმა არ იცის. ციხეში ბევრნაირი საძმოა — ალბათ ერთ-ერთის წევრი გავხდებოდი და მაშინ... მშვიდობით ტაისონო!

● *მაინც, როგორ გიშველათ ისლამმა?*

ცხოვრება სხვა თვალით დავინახე.

● *თქვენზე ამბობენ, ციხეში განათლებას დაეწაფაო?*

— ბევრი წიგნი წავიკითხე, ბევრი რამ გავიგე. ნიცშემ მასწავლა, რომ არავითარი ღმერთი არ არსებობს, ტოლსტოიმ დამარწმუნა, რომ ქალები მთლად წყალწაღებული ხალხი არ არის. მაკიაველისაც ვირწმუნე — არავის არ ენდოო.

● *თქვენ ბევრი ფული გაქვთ დახარჯული ადვოკატებზე ალბათ გინდოდათ დაგემტკიცებინათ, რომ უსამართლოდ მოგექცნენ?*

— მე გარეთ გამოვედი და ახლა ამას, აღარ აქვს მნიშვნელობა.

● *ამბობდნენ, ტაისონი გაკოტრდაო?*

— ციხიდან გამოსვლისას ისეთი მდიდარი არ ვიყავი, როგორც ადრე. მაგრამ ფულის ნაკლებობას არ განვიცდიდი. ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შემეძლო და... ვაკეთებდი კიდეც. მაგრამ ამაზე რატომღაც არავინ არაფერს ამბობს. როგორც ჩანს, სისხლისმსმელი ტაისონის სტერეოტიპი უფრო მომგებიანია?

● *ახლა როგორია ტაისონი?*

— ტაისონი, რომელიც ხალისით დასეირნობდა ქუჩებში, დადიოდა რესტორნებში, რომელიც ხალხს ენდობოდა, აღარ არსებობს. ტაისონს ეჯავრება მთელი ქვეყანა. ვიცი მეტყვიან: არ შეიძლება მთელი ქვეყნის წინააღმდეგი იყოო. ვეთანხმები, არ შეიძლება. ამიტომაც ვამბობ — მეჯავრება მთელი ქვეყნის 99 პროცენტი.

● *გულშემატკივრების წინაშე თუ ხართ ვალში?*

ვალში ვიქნები მანამ, სანამ არ მოვკვდები. კერპი მუდამ ვალშია მოყვარულთა წინაშე და მაინც, ბოლომდე იგი არავის უყვარს.

ბაჯო, ვიალი და მათეუსი ნაკრებში ვერ მოხვდნენ

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის წინ გამოცხადდა გერმანიისა და იტალიის ნაკრები გუნდების შემადგენლობები. იტალიის ნაკრებში არ აღმოჩნდნენ ვარსკვლავები რობერტო ბაჯო და ჯანლუკა ვიალი. გერმანიის ნაკრებშიც აღარ მიიწვიეს ბოლოდროის მისი უცვლელი კაპიტანი ლოთარ მათეუსი. გერმანიის ნაკრების ძირითად ბირთვს დორტმუნდის „ბორუსიისა და მიუნხენის „ბავარიის" ფეხბურთელები შეადგენდნენ. ნაკრებში ექვსი ბორუსიელი და შვიდი ბავარიელია.

ევროპის ჩემპიონატი ტანვარჯიშში

ილია გიორგაძე და იური ფირტი...

დანიის დედაქალაქში გაიმართა ტანმოვარჯიშეთა ევროპის 22-ე ჩემპიონატი. მრავალჭიდში საუკეთესო იყო ივან ივანკოვი (ბელორუსია) — 57,898. ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს: თავისუფალ ვარჯიშსა და ორძელზე ვიტალი შჩერბომ (ბელარუსი). ხტომებში და ძელზე ალექსი ვოროპაევმა (რუსეთი), რგოლებზე იური კეკიმ (იტალია), ტაიჭზე ივან ივანკოვმა (ბელარუსი).

ძელზე ვარჯიში ჩვენმა თანამემამულემ ილია გიორგაძემ ჩეხ იური ფირტის მსგავსად 9,425 ქულა დააგროვა. ამ ორმა ტანმოვარჯიშემ №№-№№№ ადგილები გაიყო.

რა ხდება ქვეყანაზე

ნელ-ნელა შედის ფორმაში „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის ჩემპიონი ესპანელი მიგელ ინდურაინი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ამ პრესტიჟული შეჯიბრების მეექვსედ მოგება. მან, თავის უმცროს ძმასთან პრუდენსიოსთან ერთად, იასპარეზა პორტუგალიურ „ტურ ალენტეჟუში", მოიგო მხოლოდ ორი ეტაპი, მაგრამ დაყოფილი სტარტით რბოლაში ისეთ დიდ უპირატესობას მიაღწია, რომ საბოლოო ჯამში გამარჯვება არ გასჭირვებია. არადა, რვაეტაპიან რბოლაში პრუდენსიო სამჯერ პირველი იყო და ორჯერ მეორე, მაგრამ თავის ძმას 0,26 წამით მაინც ჩამორჩა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მიგელს ჯერ კიდევ 5 კილოგრამი აქვს დასაგდები და „ტურ დე ფრანსამდე" დარჩენილი შვიდი კვირა სავსებით საკმარისი იქნება წონის მოსაგვარებლად.

საფრანგეთის საუკეთესო კალათბურთელად, მეოთხედ ზედიზედ, დასახელებულია „პო-ორტეზესა" და ქვეყნის ნაკრების მცველი ანტუან რიგოდო. საუკეთესო ლეგიონერად კი ამერიკელი დელანი რადი („ვილერბანი") აღიარეს. ლიტვის საუკეთესო კალათბურთელის პრიზი მიიღო რიმას კურტინაიტისმა („ჟალგირისი").

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შვეულად: 1. მიზეზი, რომლის გამო ცხენოსანთა ოლიმპიური ასპარეზობაც კი სხვა ქვეყანაში გადაუტანიათ; 2. საჭადრაკო ტურნირის ნაწილი; 4. მდგომარეობა ჭადრაკის თამაშში; 5. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 8. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 9. სპორტული თამაშის ხანგრძლივობის გარკვეული ნაწილი; 10. ერთგვარი თამაშის ხანგრძლივობის გარკვეული ნაწილი; 10. ერთგვარი თამაში — წვრილ მსუბუქ სალტეებს ისვრიან და იჭერენ სპეციალური ჯოხებით; 11. ჰოკეის სათამაშო ინვენტარი; 14. უეფას პრეზიდენტი; 15. საწვრთნელი მიწისზედა მოწყობილობა; 16. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 18. ბურთის მიღება ჰაერშივე; 19. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 23. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი; 28. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 27. სპორტული შარვალი; 29. უნგრელი ნიჩბოსანი 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი; 30. გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი;

35. პარტია ჩოგბურთის თამაშში; 36. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი.

თარაზულად 1. მოკლე დისტანციაზე მორბენალი; 3. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 6. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 7. შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში; 12. სპეციალური სადგომი ხელის ცეცხლსასროლი იარაღის მიზანში სროლისათვის; 13. ცხენის გარბენა მოკლე მანძილზე; 16. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 17. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 20. სპორტული სირბილი; 21. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 22. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 24. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი; 25. სპორტული ცურვის ყველაზე სწრაფი ხერხი; 31. ჭადრაკის ფიგურა; 32. კრივში გვერდიდან დარტყმა მოღუნული ხელით; 33. მდგომარეობა ბურთით შეჯიბრებებში; 34. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 37. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 38. დარტყმა ჩოგბურთში; 39. არგენტინის საფეხბურთო კლუბი; 40. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი.

შეადგინა ლევან ნიჟარაძე

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. აუტსაიდი, 6. ბილიარდი, 9. ალპინიზმი, 11. კლინჩი, 12. დუკლა, 14. ინტერი, 18. მანეჟი, 20. ისარი, 21. ოდენსე, 22. ესპადრონი, 23. ტრენინგი, 24. ნოკდაუნი.

შვეულად: 1, პანტელი, 2. გამაში, 3. ფინიში, 4. მიულერი, 7. ინოვი, 8. სანტანდერი, 10. აუტსაიდერი, 12. დუნსტი, 13. აიაქსი, 15 გამბიტი, 16. გარდი, 17. ასტურია, 19. ივერია, 21. ოვიედო.

საჭადრაკო ამოცანა

თ. მარცვალაშვილი
(სოფ. ჩარგალი)



შამათი 3 სვლაში

მთავარი. რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ.სიმონიშვილი. შემსრულებლები ბელა ძმანაშვილი, ნანა რამიშვილი, მერი წოწორია